დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 1092502811**
თარიღი:**28/01/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მ/წ 21 იანვრის №108-1082502119 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება-ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩა №41-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს.კ.82.01.42.021) პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელში მდებარე 50,05კვ.მ, არასაცხოვრებელი ფართი, საქართველოს პარლამენტის აპარატს, საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ვადით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი